

შპს “ანგელ ლოჯისტიკს”

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
წარდგენის საფუძველი	5
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება	5
ფინანსური ინსტრუმენტები	5
ფული და ფულის ეკვივალენტები	6
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	6
ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა	6
ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება	7
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
მარაგები	8
ძირითადი საშუალებები	8
თავდაპირველი აღიარება და შეფასება	8
შემდგომი ხარჯები	8
ცვეთა	8
აქტივების გაუფასურება	9
სავაჭრო ვალდებულებები	9
სესხები	9
გადასახადები	10
საკუთარი კაპიტალი	10
შემოსავალი	11
მომსახურების გაწევა	11
ხარჯების აღიარება	11
სახელფასო განაცემები	12
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
საგარანტიო ანარიცხები	12
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4 ძირითადი საშუალებები	13
10 საგადასახადო ვალდებულებები	15
11 საწესდებო კაპიტალი	15
12 სხვა ხარჯები	16
13 პირობითი ვალდებულება	17
14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17

შპს "ანგელ ლოჯისტიკს"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	155 840.00	32 783.00	109 314.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	242 643.00	110 802.00	364 159.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	141 049.00	-	269 481.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	192 168.00	-	-
ძირითადი საშუალებები	2 328 479.00	1 201 345.00	1 048 146.00
სულ აქტივები	3 060 179.00	1 344 930.00	1 791 100.00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	-	3 939.00	149 963.00
საგადასახადო ვალდებულებები	142 835.00	34 290.00	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1 265 263.00	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	425 736.00	402 330.00
სხვა ვალდებულებები	-	-	431 625.00
სულ ვალდებულებები	1 408 098.00	463 965.00	983 918.00
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 100 715.00	727 008.00	690 230.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	551 366.00	153 957.00	116 952.00
სულ საკუთარი კაპიტალი	1 652 081.00	880 965.00	807 182.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 060 179.00	1 344 930.00	1 791 100.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	590 648.00	39 647.00	742 954.00

დირექტორი:

ვახტანგ ბეჟიტაშვილი



შპს "ანგელ ლოჯისტიკს"

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2022	31/12/2021
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	4 998 389.00	3 104 478.00
საქონლის გაყიდვიდან	1 366 034.00	-
მომსახურების გაწევიდან	3 632 355.00	3 104 478.00
გაყიდვების თვითღირებულება	- 83 588.00	- 33 635.00
საერთო მოგება	4 914 801.00	3 070 843.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	148 501.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 251 164.00	- 119 942.00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 276 617.00	- 104 465.00
საპროცენტო ხარჯი	- 26 260.00	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 4 011 105.00	- 2 957 931.00
სულ საოპერაციო ხარჯები	- 4 565 146.00	- 3 033 837.00
საოპერაციო მოგება	349 655.00	37 006.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	349 655.00	37 006.00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	349 655.00	37 006.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	349 655.00	37 006.00
საჯუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	880 965.00	807 182.00
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	47 754.00	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	373 707.00	36 777.00
საჯუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 652 081.00	880 965.00

დირექტორი:

ვახტანგ ბეუიტაშვილი



(Handwritten signature)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ანგელ ლოჯისტიკს” (ს/ნ 402045185) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით. კომპანია დაფუძნდა 2017 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი, დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ვახტანგ ბეჟიტაშვილი (პ/ნ 601013009051). მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N11, სართული 6, ბინა N11

ფაქტიური მისამართი - თბილისი დიდუბე-ჩუღურეთი მიქელაძის ქ. 11

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ინსტრუმენტები

1) თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და

ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

2) ფინანსური აქტივების / ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების/ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური აქტივი/ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი აქტივის/ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი აქტივის/ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალოებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები

კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება ან საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონელი გაიყიდება ან საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ხარჯების აღიარება

კომპანია ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4 ძირითადი საშუალებები

ლარში	შენიშვნა - ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	1 278 363		1 278 363
შესყიდვა	1 500 172	8 012	7 618	570 877		1 274 328
გასვლა				713 693		1 016 664
გაუფასურება						-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						-
გადაფასების რეზერვი						-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 500 172	8 012	7 618	1 135 547	-	2 651 349
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	(104 465)	-	-
ცვეთის ხარჯი	(25 000)	(522)	(689)	(192 193)		(218 405)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						-
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	(296 658)	-	(322 870)
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის ბოლოს	-	-	-	1 173 989	-	1 173 989
2022 წლის ბოლოს	1 475 172	7 490	6 928	838 889	-	2 328 479

5 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ფული სალაროში	3 990	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	151 847	32 783
	155 837	32 783

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	242 643	110 802
მოხვნიები ხელმძღვანელი სმმართ	192 168	27 447
	434 811	138 249

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარი	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	(140 946)	(43 810)
გადასახელი ხელფასები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	(140 946)	(43 810)

9 სესხი

ლარი	31/12/2021
ბანკის სესხი	1 265 263
დაკავშირებული მხარის სესხი	-
სულ სესხი	1 265 263

კომპანიის მიერ 2022 წლის დეკემბერში ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეადგენს: ევროში სესხებზე – წლიური 4-5% , რომელიც წარმოადგენს მიკრო საკრედიტო ხაზს და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად და მომწოდებლებთან დროული ანგარიშსწორებისთვის.

2022 წელს კომპანიის მიერ აღებულია მიკრო ბიზნეს სესხი ევროში 4-5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც აღებულია 12 თვიანი საკრედიტო გაზის დასაფარად და მომწოდებლებთან დროული ანგარიშწორებისთვის.

10 საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021
წინასწარ გადახდილი		
გადასახადი		
საგადასახადო ვალდებულება	142 835	34 290
	142 835	34 290

11 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 100 715 ლარს. კომპანიაში დაარსების დღიდან არ მომხდარა დივიდენდის განაწილება, ვინაიდან ხდება რეინვესტირება აქტივებისა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგების გასაზრდელად.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საწესდებო კაპიტალი	1 100 715	727 008
გაუნაწილებელი მოგება	551 362	201 707
	1 652 078	928 714

12 სხვა ხარჯები

31/12/2022

საწვავის ხარჯი გაზი	5080.52
საწვავის ხარჯი ბენზინი	75386.2
მძღოლის ხარჯი რეისის	1232144
პირდაპირი ხელფასი	1800
სხვა საოპერაციო ხარჯები	1000
გაყიდული/შემძენილი საქონელი	779076
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1016.95
მიწოდების სხვა ხარჯები	292047
შრომის ანაზღაურება	249364
მივლინება ადმინისტრაცია	2449.9
საოფისე ინვენტარი	144.92
საკანცელარიო ხარჯი	1764.23
კომუნიკაციის ხარჯები	5052.27
დაზღვევა	60037.3
მანქანის სხვა ხარჯი	168985
რემონტი	51117.1
კომპიუტერის ხარჯები	33.05
საკონსულტაციო ხარჯები	16301.9
ცვეთა და ამორტიზაცია	276617
კომუნალური ხარჯი	397.96
ნებართვები	66121.9
ბანკის მომსახურების	12874.7
სხვა საერთო ხარჯი	13771.4
საწვავის ხარჯი	392371
საპროცენტო ხარჯები	1172.89
არასაოპერაციო ზარალი	17326.7
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10560.3
ა/მ რეალიზაციიდან მიღებული მოგება ზარალი	638254
განსაკუთრებული ხარჯები	5735.87
მძღოლის ხარჯი რეისის	4600
გაყიდული/შემძენილი საქონელი	83587.6
მიწოდების სხვა ხარჯები	53152.2
სესხის პროცენტი	9573.67
საპროცენტო ხარჯები	25086.7
ტირები	22831.2
მიწოდების სხვა ხარჯები	60295.6
სესხის პროცენტი	2236.83
არარეალიზებული მოგება ზარალი გადაფასება	2727.07
საპროცენტო ხარჯები	6639.25

13 პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სარჩელები, კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.